გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



30 სექტემბერს, თ. ვახტანგ ვახტანგის ძის ჯამბაკურ-ორბელიანის გარდაცვალების წლის თავზე, გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი სიონის საკათედრო ტაძარში, დილის 10 საათზედ. (1—122—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ ამ გამგეობის კანცელარიაში ხელის მოწერაა გამართული და იღებენ შეწირულებას განსაახლებლად ძველის ტაძრისა გორის მაზრის სოფელს მეტეხში. შეწირულებას იღებენ ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 10 საათიდგან ნაშუდღევის 2 საათამდე. (5—2)

ქართული თეატრი

კვირას, 29 სექტემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში

კომედია 3 მოქ. აბაშიძისა.

II

ცოლ-ქმრობის წინაალმდეგი

კომედია 1 მოქმ. დ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა; ბ-ნი აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი, თამაზიშვილი, საფაროვი და სხვა.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.


## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თთვის 28, საღამოს, რკინის გზით ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ—ძე შერვაშიძე ტფილისში დაბრუნდა აბასთუმნიდგან, სადაც იმყოფებიან ამ ჟამად მათი იმპერატორებითნი უმაღლესობანი დიდნი მთავარნი გიორგი ალექსანდრეს ძე და სერგეი და ნიკოლოოზ მიხეილის ძენი.

*** ამ თთვის 27 რკინის გზის სადგურ „კასპის“ ახლოს საქონლის მატარებელი, რომელიც ტფილისში მოდიოდა, ცოტას გასწყდა სულ არ დაიმსხვრა და უბედურება არ დატრიალდა. ამ მატარებლის ქვეშ ზორბა კამეჩი ჩავარდნილიყო, მატარებელს რამდენიმე საჟენი ეთრია იმ დრომდე, ვიდრე მემაშინეს არ დაუყენებია მატარებელი. აღმოჩნდა, რომ ორთქლ-მავალი წინა თვლებით კამეჩზე შემდგარიყო და თავისს დროზედ რომ არ შეეყენებინათ, მატარებელი რკინის გზის ლიანდაგიდგან გადმოვარდებოდა და დაიმსხვრეოდა. კამეჩი ძლივს გამოათრიეს მატარებლის ქვეშიდგან და მატარებელი მშვიდობიანად ჩამოვიდა ტფილისში.

*** ამ დღეებში ტფილისში მოელიან ბ-ნს ფინანსთა მინისტრის ვიშნეგრადსკის ამხანაგს, რომელიც აქ კონტროლისა და სახაზინო პალატებსა და სააქციზო მმართველობას დაათვალიერებს.

*** ტფილისის სატეხნიკო სასწავლებელში, ახალის ცვლილების ძალით, ამას შემდეგ მიიღებიან რუსეთის ქვეშევრდომნი 14 წლიანებიდამ დაწყებული 18 წლისანებამდე. აქამდე-კი 17 წლისაზე უფროსებს არ იღებდნენ. ამას გარდა, თუ მოსწავლეს სურს, შეიძლება მისი ჯარში წაყვანა გადაიდოს იმ ხნობამდე, ვიდრე მოსწავლე 24 წლისა შესრულდებოდეს.

ამ ჟამად სატეხნიკო სასწავლებელში სწავლობს 61 შეგირდი. ამმათში 29 პანსიონშია, რომელიც დაარსდა სასწავლებლის შენობაში 1884 წელს.

*** მომავალს სამშაბათს სვეტიცხოვლის დღეობა მოდის და, როგორც ვიცით, დიდი-ძალი ხალხიც ესწრება ტფილისიდგან მცხეთაში ამ დღესასწაულს. ჩვენ შევიტყეთ, რომ წრეულს პოლიცია მცხეთის ტაძრის გალავანში ლხინსა და ზურნის დაკვრას არ დაუშლის მლოცველებს. ზურნა-ლხინი მხოლოდ მაშინ იქნება აკრძალული, როდესაც ტაძარში წირვა-ლოცვა იდგება.

*** როგორც შევიტყეთ, ბ-ნ დ. ზ. სარაჯიშვილის ხარჯით „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება პირველ-დაწყებითს სასწავლებელს აარსებს სოფ. დიღომში.

*** ქუთაისი. ავაზაკთა შეპყრობის ამბის შესავსებლად შემდეგი უნდა გაცნობოთ: ლევიძეს უკვე დაუსახელებია ზოგი ამხანაგი, რომლებიც ავაზაკთა დასის ერთგული წევრები ყოფილან. ესენი თურმე ორი ძმა კახიძეები არიან; ერთი ამათგანი, როგორც ამბობენ, ის კახიძე უნდა იყოს, რომელიც ამ რამდენისამე თთვის წინად ქუთაისის ციხიდგან გაიქცა და მით სასამართლოსგან დანიშნულს კატორღას გადარჩა დრომდე. ამ ორ ძმათ, უთქვამს თურმე ლევიძეს, რაც ფული ვიშოვეთ, თან წაიღეს და სხვები-კი მშრალზე დაგვსვესო.

გუშინ, 26-ს ამ თთვისას, აქაურის ადმინისტრაციის განკარგულებით შეპყრობილ იქმნა აზნაური ნესტორ გელაძე, რომელსაც წარსულს წელს აქაურმა ოლქის სასამართლომ თოთხმეტის წლით კატორღა მიუსაჯა, რა-

## ფელეტონი

### სიზმარი *)

1882 წ. იანვარში საიმპერატორო სასახლის მხატვარმა ზიჩიმ და ფოტოგრაფმა ფილიპპოვიჩმა, კნეინა ბაბალე ბარათოვის თაოსნობით, ტფილისის საზაფხულო თეატრში თავსიდვეს „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირთა ცხოველ სურათებად წარმოდგენა და ეს საქმე შეასრულეს კიდეც. ესრედ, 21 თებერვალს შოთას დიდებულის ფანტაზიის ქმნილი უნდა ცხოველ ექმნათ. ამ ფიქრში უხუმრობამ მომბურა და ჩვეულებრივი აღარა მეპრიანებოდა-რა: მთლად სიამოვნებისტბაში ვსცურავდი, სახე სასიხარულო სადღესასწაულო დღეს მიმეტყველებდა, გული რაღაც სატრფიალოს მითქმიდა...

პირველის სურათის დანახვასთანვე ცხადად წარმომიდგა ჩვენი სამშობლო XII საუკუნეში, შემკული მშვენიერის ტაძრებით, ციხე-დარბაზებით და სრა-პალატებით იქ, სადაც ეხლა ნანგრევნი-ღა ჰმოწმობენ მათს არსებობასა; გაშენებული სოფლებით და ქალაქებით იქ, სადაც ეხლა ძეძვნარსა და ჩრდილოვანს ტყე-ღრესა ვხედავთ; დიდი რუსხმულებით იქ, სადაც ეხლა ჯაგნარი და გაუვალი ბუწკნარია მოდებული... ამ წარმოდგენამ ბევრი რამ კარგი დამიხატა ჩვენის მამულის წარსულისა, მისის სამეფო წეს-წყობილებითა და თავისუფალ-შეუპოვარის მოყმეებითა—და მივღე ნაღველ რეული რწმენა, რომ აწმყო წარსულს მხარს ვერ დაუმშვონებს ეკონომიურის მხრით და ეროვნულის სულიერის ცხოვრების აღფრთოვანება მაშინ სხვა იყო და ეხლა სხვაა...

ამ დროს რომ ორკესტრი რაღაცრაღაცებს უკრავდა, ეგ-კი არ მატკბობდა ჩვეულებრ, როგორღაც არცკი მეპაშნიკებოდა: სად იყო მაშინ ბუკი, დაფ-დაფი, ჩანგი, ქნარი, ფანდური და მათი სულის ჩამდგმელნი მგოსანნი?..

როგორც დაიწყო, ისე გათავდა: საზოგადოება დიდად ასიამოვნა „სურათების“ სანახაობამ და კმაყოფილი დაიშალა. მე-კი ფეხ-ქვეშ დედამიწას ვერა ვგრძნობდი; მიხაროდა, რომ ჩვენშიაც, როგორც ზოგიერთს კურთხეულს მხარეში, ნელ-ნელა შეუძლებელი შესაძლებლად გარდაიქმნა; რომ „მდევის-ნამუხლზედ“ [1]) გადავლა ფეხმართალთათვისაც ადვილდება, —და რომ დიდებულის შოთას ქმნილის სულის ჩადგმა-განხორციელებამდის დიდი ხანი აღარ გაივლის და მალე ვიხილავთ „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირებს სცენაზედ...

ამ ფიქრებით რომ თავსბრუ მესხმებოდა, მოველ შინ და მიმერულა... მერე ნეტავი იგი რული გამსაუკუნოებოდა!.. მიმერულა. ძილში ყოველნი ჩემი მეგობარ-მცნობნი წარმომიდგნენ, გარს მისხდნენ და მისმენდნენ „სურათების“ ამბის მბობასა. ყველა დამნატროდა—„ნეტავი შენაო“—და გული ეწყვლოდათ „ცოცხალი სურათების“ უნახაობისათვის. ამის გამო უფრო გამიზვიადდა სიხარულევანი გულის ძგერა და წამოვიძახე—„თუ შოთას არ ვახარე, არ იქნება-მეთქი“ [2]). აქედ-იქიდან მირჩიეს რკინის გზით წასვლა. „დამაგვიანებს-მეთქი“, ვუპასუხე და გავსწიე. რკინის გზის მატარებელს მცხეთაში წამოვეწიე, მე გორში აველ და მატარებელი ჯერ კასპში არ მოსულიყო. აქ ს. კოხმა მითხრა—მეც წამოვალო.—არა, „დამაგვიანებ-მეთქი“. გავსწიე. მარდათ შევიარე ლიახვის ხეობა. გზა-გზა ვღიღინებდი:

> „ძველსა მოყვასსა ნუ ჰსძულობ, ნუ აგდებ ძველსა შარასა,
> „რა რომ ახალი დაძველდეს, მასცა ისრე იქმ მარასა“...

შემდეგ კიდევ დავღიღინე:

> „ვიგლოვ მაღალ ტახტს... ვაი წახდომილს...
> „დიდებულს პალატს მსწრაფლად დამხობილს;
> „შვებით სიხარულს, ტრფობით შეტკბობილს,
> „ეტლ-დაბრუნებულს, მოყვასთაგან გმობილს...
> „მსურს მყის სიკვდილი, გულ ლახვარ სობილს“...

შევუდევ ლიახვის სათავეს, მერე „ბრუტ-საბძლის“ კალთებს. სიხარულისაგან გული მიფანცქალებდა და მთელის არსებით მემღერებოდა. ვღიღინებდი:

> „ვისწრაფი, შოთავ, გახარო, ქართლის არენი ვლახენი,
> „გამოვეპარე მტარვალთა ყვავვით ვილახლახენი:
> „თუ, შოთავ, შენის შეყრისა კალთათა ხელნი ვახენი—
> „აღარ გაუშვა ცოცხალმან, თუ მედგას სულთა სახენი“.

მალე მივვარდი „ბრუტ-საბძლის“ ძირას. შევემართე მისს ფრიალო კალთებს, მაგრამ სად იყო ან დაღლილობა, ან დაქანცულობა: გულს კვლავ ემღერებოდა და სული ჩემი იხარებდა. აი ავაღწიე მწვერვალს „ბრუტ-საბძლისას“ და დიადი სახილველი წარმოუდგა თვალთა ჩემთა: ოთხი გუთნის გაშლა მეტი მარმარილოს კიბე აღიმართებოდა მაღლა, აქეთ-იქით ნაძვნი და ცაცხვნი მაგრილობელნი მშვენიერად აჩრდილოვნებდნენ კიბესა. კიბის თავს აბჯარმოსილნი დარაჯნი ჰსცვიდენ ალსავალსა. მე მათთან სალაპარაკოდ არა მცალოდა. კიბის თავს ერთს წუთს შემდგარმა გადავავლე თვალი იქაურობას: კარგა მოზრდილს, „ბრუტ-საბძლის“ მწვერვალზე გაშლილს მოედანზე, ფერადის მარმარილოთი მოკირწყლულზე. შუაგულს დაკიბული ტახტი იდგა, პორფირითა ფენილი; ტახტზედ დგმულს სპილოს ძვლიდან შექმნილს სეფეზედ ბრძანდებოდა დედოფალი თამარი, შემოსილი სრულის სამეფო შესამოსლით [3]): თავს გვირგვინი ედგა, მარჯვენა ხელში სკიპტრა და მარცხენაში—სფერო, ტანთ თვალ-მარგალიტით მოოჭვილი ბისონი ემოსა. მარჯვნივ კათალიკოზი თეოდოსე ბრძანდებოდა, მარცხნივ—სპასალარი ზაქარია. ტახტის მარჯვნივ—მარცხნივ და უკანა ზურგით მოწიწებით იდგნენ დარბაზის ერნი და სეფე-წულნი. ტახტის წინ კიბეზედ შოთა, მარჯვენა მუხლზედ დაჩოქილი და, თამარისადმი მძღვნელი „ვეფხის-ტყაოსნისა“, იტყოდა:

> «... გრგვინვით, ციურნო, მოით მზიურნო— რა არს სმინება?
> „ლურჯმან ღრუბელმან, ულტობელმან მომცა წყინება;
> „სოფლის მტერობამ, ორფერობამ—დამცეს შინება;
> „მოყვრისა განხდამ, სულის წარხდამ—ველს მცა რბინება,—
> „მიგლოვეთ ზარით, ცრემლით ცვარით, ჰთოვეთ დინება!...

„მართლად უბნობ, შოთავ! თვით ესოდენთა ღვაწლთა და შრომათა დამთმენელსა, მეცა დამასეს გულსა ლახვარი უმადლოებისა, უარ-მყვეს ივერთა და ენა მზაკვარი ტფილისით აღმოსთქვამს ძვირსა ივერთათვისცა“ უბრძანა თამარმა.

— ნუ გიკვირნ, ნუ განცვიფრდები, დედოფალო, რამეთუ ცვალებადი და წარმავალი არს სოფელი ესე!! გარნა მარად იხსენებდინ, რამეთუ „მჰამელი მჰამელმან წარწყმიდოს“ და „მახვილისა აღმღები მახვილითა წარწყმდეს“; ესრეთ განაჩინა ღმერთმან საბაოთმან და განჩინება ეგე უცვალებელ არს... მოახსენა კათალიკოზმა.

— „უწმიდესო მეუფეო! კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან განა-

*) 1882 წ. დაწერილს, ვბეჭდავთ რამდენისამე მეგობრის თხოვნით.

[1]) „მდევის ნამუხლი“ არის მუხათგვერდის ბოლოს საცალფეხო კლდოვანი გადასავალი დიღმის მინდვრიდან მცხეთისაკენ, სადაც მოჩანან გამოქვაბულნი კლდეში და მაღლა სდგას საყარაულო კოშკი ძველის დროდამ.

[2]) რასაკვირველია „ბრუტ-საბძლის“ მთაზედ, ლიახვის სათავესთან, სადაც საერო გამოცესისამებრ—ბრძანდება თამარ დედოფალი თავისი სამეფო ტაძრეულით და საგანძურით. „ბრუტ-საბძელი“ გორიდგანაც ჰსჩანს მსგავსად თავმოჩენილის შაქრის თავისა.

[3]) იხ. ბეთანიის მონასტრიდან გადმოღებული გაგარინისაგან სახე თამარისა.

დგანაც ქ-ნ ლიმბერგერის გაძარცვაში მონაწილეობის მიღება ბრალდებოდა, ხოლო სამოსამართლო პალატამ-კი სრულიად განათავისუფლა ბრალდებისაგან. დღეს რა მიზეზით იქმნა შეპყრობილი ნ. გელაძე, დაბეჯითებით არავინ იცის.

*** სოფ. პერევისა (შორაპნის მაზრა): როგორც მთელს ზემო იმერეთში, ისე პერევისაშიაც, მამულებს პირველად ღვთის თვალი დასტრიალებდა: სიმინდები ყველგან კარგი იყო და ვენახებს იმდენი ესხა, რომ სიმძიმის გამო ვაზები ძირს იწვა; მაგრამ შევიდა თუ არა სიმწიფეში ყურძენი, დაიწყო წვიმები და ახლაც განუწყვეტლივად სწვიმს, რის გამოც ყურძენმა დამწიფება ვეღარ მოასწრო. რაც შემწიფდა, იმანაც ძირს ცვინვა დაიწყო. ცოტა ხანს რომ მაინც გადიდარებდეს, ტყუილად ძირს ჩამოცვივნას და მიწად გადაქცევას, მოვკრეფდით ყურძენს. თუმცა მჟავე ღვინო დაგვიდგებოდა, მაგრამ სულ არარაობას მაინც მჟავე ღვინო აჯობებდა. შარშან, პირველს ენკენისთვეს, სიმინდი ყველას გარჩეული და დაბინავებული გვქონდა, წრეულს-კი ენკენისთვეც მიდის, ეს-ეს არის, და ტაროც არავის მოუტეხია. ჩალაც ისე გაფუჟდა რომ, მგონია, საქონელმაც აღარა სჭამოს. სიმინდის მოსავალი, როგორც ეტყობოდა, შარშანდელზედ ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო, რომ ყანებშივე არ დაგვლპობოდა და მშრალად შეტანა მოგვესწრო. ხალხი ძალიან სწუხს და დაღონებული ცას შეჰყურებს, იქნება ღმერთმა მოგვხედოს, წვიმები გადიღოს და სიმშილობას გადავრჩეთო, მაგრამ ამაოდ: ტაროსი თან და თან უფრო ცივდება; ნეტავი არ მოთოვდეს და წვიმებს ვიღა დაეძებს.

*** იქიდამვე: ჩვენში ადგილების მმიჯნავად იყო გამოგზავნილი ბ-ნი შუმილევსკი, რომელიც ეს სამი წელიწადია განუწყვეტლივ და ერთგულად მუშაობდა აქ. სოფლელებს ძალიან უხაროდათ ადგილების დამიჯვნა, რადგანაც ზოგიერთმა არც-კი იცოდა, სადა და სად ჰქონდათ ნაჭრად ადგილები; ამას გარდა სულ ჩხუბი და დავიდარაბა იყო საზღვრების გამო. ახლა-კი, როდესაც ბ-ნმა შუმილევსკიმ ადგილები დამიჯნა, ყველას თვალწინ ნათლად აქვთ წარმოდგენილი თვისი ადგილ-მამული და მათი საზღვრები; მაგრამ ამ ბოლოს დროს ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: როდესაც ბ-ნი შუმილევსკი შუადღის დროს ზაფხულში დამიჯნულ ადგილების გეგმას იღებდა, უცბად გულს შემოეყარა და წაიქცა. ხალხი მიესია, მოასულიერა და შინ ურმით მიიყვანა. შუმილევსკიმ არამც თუ ნაცნობნი, თავისი ცოლიც ვეღარ იცნო. მოიყვანეს ექიმი საჩხერიდგან და იმან სთქვა, რომ მზეს თავში დაუკრავს და ჭკუაზედ შეუშლიაო.

ექიმმა მისცა ავადმყოფს წამლები და ურჩია პატრონებს, მზის სხივი არ დაინახოთ ერთის თვის განმავლობაში, თორემ სამუდამოდ შეიშლება ჭკუიდამაო. პერევისელები ამ ამბავმა ძალიან შეგვაწუხა, რადგანაც შუმილევსკის აღარშეეძლება წრეულობით ადგილების დამიჯვნა.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს გაუგონია, რომ სამკურნალო მმართველობა ჩვენში ფიქრობს, შეადგინოს პროექტი იმ წესებისა, რომლის ძალითაც ჭირიანი საქონელი უნდა დაიხოცოს, ხოლო პატრონს სამაგიეროდ ფასი მიეცეს. ეს პროექტი მალე წარედგინება განსახილველად კავკასიის მთავარ-მმართებელსაო.

*** ტფილისის მცხოვრებელმა სტეფან რემიზოვმა პოლიციაში გამოაცხადა, 26 ამ თთვის დესიმონოვის ქუჩაზე დუქანი გამიტეხეს და 26 გირ. ჩაი და ფულად 1 მ. 45 კაპ. მომპარესო. დამნაშავე ამ საქმეში აღმოჩნდა 14 წლის ივანე ვასილიევი, რომელიც შეიპყრეს და 10 1/2 გირ. ნაქურდალი ჩაიც უპოვნეს.

### არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამოცანები)

—

საგრძნობელი წერა იცის, ღირს
საგანთა არჩევაცა,
იტყვის მარჯვედ სიმართლესა, თუნდ
აღიძრას ქვეყნის ყბაცა,
ლესავს მარხვილს საპაექროს, მისდევს, ვისიც უნდა კრვაცა;
ოლრო-ჩოლრო ღრამატიკის მოინდომა გარდაქმნაცა,
ვაკელ-მთიელ-წყლის პირელსა გაუჩინა უცხო მზნაცა;
აეშალენ, მაგრამ თვიცა აამაღლა
თვისი ხმაცა;
ნუსხა ნარქმევთ ახალ-ძველთა აღწერა და შემოგვძღვნაცა;
ერის მოძღვარს ერობისთვის უნდა
ჰყავდეთ მამაც, ძმაცა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქუთაისი.** როგორც სხვა ქალაქებში, ისე ქუთაისშიაც არსებობს ეგრედ წოდებული „კრუჟოკი“, რომლის დანიშნულება ის არის, რომ თავისს წევრთა გონივრულად და საამოდ დრო გაატარებინოს. ამ გვარი დაწესებულება, რასაკვირველია, საჭირო და სასარგებლოა, რადგანაც უფროსერთი წევრი საზოგადოებისა, შინ თუ გარედ, სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, მოკლებულია გონივრულს და ზნეობრივს გასართობს, ხოლო ქუთაისის კრუჟოკი თავისს დანიშნულებას ვერ ასრულებს, იმიტომ რომ ბანქოს სათამაშო სარბიელად გადაქცეულა. ეს რამდენიმე წელიწადია კრუჟოკის წევრთ არც ერთი სამუსიკო კონცერტი და სალიტერატურო საღამო არ გაუმართავთ: სამაგიეროდ ბანქოს თამაში-კი მუდამ დღე გაჩაღებულია. ამის გამო ბევრი წევრი აკლდება: ვინც ბანქოს არა თამაშობს, კრუჟოკის წევრობას არა ნებულობს და ამიტომ, ბანქოს მოთამაშეთა გარდა, კლუბში თითქმის არავინ დადის. აი, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩვენი კრუჟოკი სულს ძლივსღა იბრუნებს და წლისა და წლის თავზე ანგარიშს დიდის გაჭირვებით ასწორებს. არ ვიცით, მიხვდნენ თუ არა კრუჟოკის საქმეთა გამგენი ნამდვილს მიზეზს კრუჟოკის ამ გვარის ყოფა, მდგომარეობისას, ხოლო ისკი აშკარაა, რომ ეგ ვაჟბატონები დარწმუნებულნი უნდა ბრძანდებოდნენ, რომ კლუბი ბანქოს სათამაშო ადგილია და სხვა არაფერი. მართალია, ზოგი წევრი კარგად ჰგრძნობდა, რომ ეგეთი ყოფა კრუჟოკისა სამძიმო და არა-სანატრელია, მაგრამ დღემდე არა გაუკეთებიათ-რა კრუჟოკის მდგომარეობის განსაკარგებლად.

ამიტომაც სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი ამბავი: ორმოცდა-ათიოდე კაცმა განიზრახა ქანდრაკის მოთამაშეთა და მოყვარულთა კრუჟოკის შედგენა და ამ აზრით თადარიგსაც შეუდგნენ. მაგრამ, რადგანაც საკუთრად საქმის დაწყებისათვის მეტი ხარჯია საჭირო, ამ დასმა გადასწყვიტა, მიჰმართოს კრუჟოკის გამგეთა შემდეგის სარჩიელით: ერთს ოთახს თავისის მოწყობილობით თუ დაგვითმობთ ქანდრაკის მოთამაშეთა, კრუჟოკის წევრებად ჩავეწერებით, თუ არა და თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვისაო გამგეთ შეიწყნარონ ეგ სარჩიელი და შეიძლება კრუჟოკსაც სხვა ფერი დასდონ; თუ არა და, მოჭანდრაკეთა „კრუჟოკი“ მაინც გვეყოლება. ასე თუ ისე მცირედს ნაწილს საზოგადოებისას საშუალება მიეცემა ქანდრაკის თამაშით მაინც გაირთოს თავი.

**ქართლი.** მამულის გამო თავად-აზნაურთა შორის დავა-დარაბა და ერთმანეთის ხოცვა-ჩხა არ შესწყდა; ამ საქმეს ვერც სასამართლომ უშველა, ვერც გამიჯვნამ; სასამართლო მიუსაჯავს ერთს, მეორე ყალხს შესდგება, როგორ თუ მე გამომწირესო და ხმალს გაიკრავს ხელსა; მამული გაიმიჯნება და მონაწილეებს დააშორებენ ერთმანეთს, მაინც და მაინც ჩხუბი და დავა არ ასცილდებათ თავიდამ. ამას წინად თავ. ამირეჯიბმა დასჭრა რევოლვერით თავისი ქვისლი აზნაური ს. ალაბეგიშვილი. ეს ორივენი ზედ-სიძედ არიან სოფ. ხურვალეთში მაღალაშვილის მამულზედ; მამული გამიჯნულია, ყველას თავისი წილი აქვს მიმიჯნული, მაგრამ ჩხუბი გაუთავებელია. მიდენილან ორივე თურმე გორიდამ სახლ-

გო საქმე სამეფოთა ეგრეთ და საზღვარი დასდვა მძლავრთათვის“...

ამ დროს შოთამ მიართვა თვისი ვეფხის-ტყაოსანი“ თამარსა და ზეზე წამოდგა, მოიხედა მარჯვნივ გამოსაბრუნებლად და ტახტის დაბლა თვალი გაუშტერდა ჩემზედ. მე გულმა აღარ მომითმინა და, მის წინაშე დამხობილი პირქვე, სასოიანათ ვემთხვიე ტახტზე ამყვანს კიბეს.

— „ყრმაო, ვინ ხარ, სადით მოსულხარო?“ შემომეკითხა შოთა მრისხანედ.

იმ ხანად ვერა მოვახსენე-რა; მერე გული მოვიმაგრე და ცოდვით ამმსების ღრეჯით ვუპასუხე:

— დიდო შოთავ, რად მირისხდები, შე დალოცვილო-მეთქი!

— „ყრმაო, ვინ ხარო?“ შემომეკითხა კვლავ შოთა.

— ივერი ვახლავარ, ტფილისით შენდა მოსრული მეთქი...

— „ივერიო! ბატონო, სადაური ივერია“, ჰკითხა ხელგაშლით ტახტოსნებს.

— „არა ვუწყითო“, უპასუხეს ერთ ხმად ტახტოსნებმა.

აბა ეხლაა ბიჭობა-მეთქი და დავიჩოქე ორსავე მუხლზედ და ხელი შევყარე: ბატონო, ივერი გახლავარ, წმ. ნინას ემბაზით აღმოშობილი ივერი-მეთქი.“

„რა გინდა, აქ რისთვის მოსულხარო? მირისხდებოდა შოთა.

მოვახსენე:

«ულმობელ ხალხთა უარყოფილმა ვისწრაფე შენდა!
«აღმიპყარ ხელი, დიდო შოთავ, უარ-ყოფილს თვისსა ქვეყანად!
«აღმინთე სული, გული, თვალი, ყური შენდა
«და ცვალებული, სპეტაკებული კვლავ მიმაბრუნე საშობლო ქვეყნად»...

— „აწ ყოველივე განცხადნა...“ ბრძანა თამარმა: — ეც მადლი ზეგარდამო, მეუფეო, ბრძანა თამარმა.

კათალიკოზმა მყის მოიტანა მარწუხით მღვივარე ნაკვერცხალი და პირში ჩამიდო: „იგემე ნიჭი სულისა წმიდისაო“, მიბრძანა.

მაშინვე დავემხე მის წინ და თაყვანი ვეცი.

— „ვითარ ეგების ივერია, მაშვრალო“? მიბრძანა თამარმა.

— შენი ივერი,
რჩეული ერი,
დაჩრდილულია!
სპარსთა განგებით,
თ(ა)ის უძლურებით
შენი ივერი,
რჩეული ერი
კარ-დახშულია...

მოვახსენე; უსჯულოთა უსამართლობამ, დევნა-ბრძოლამ დიდად დაგვასუსტა და თითქმის ძირს დაგვამხო-მეთქი.

„მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იხსნეს იგინი უფალმან“, მოახსენა კათალიკოზმა თამარს.

— „ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ბჰრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა“, უპასუხა თვალს ცრემლ-მორეულმა თამარმა, მაღლა ღვთისაკენ ხელ-აღპყრობილმა. ამას შემდეგ თამარმა და კათალიკოზმა დიდხანს ისაუბრეს საიდუმლოდ. ამ დროს შოთას ვუამბობდი დაწვრილებით ქართველთა ვითარებასა შესახებ მწერლობისა, ენისა, სარწმუნოებისა. ამასობაში კარგა ხანმა განვლო. შემოვიდა სუფრაჯი და მოახსენა:

— ყოველივე მზაქმნილ არსო.

ჩამობრძანდა თამარი ტახტიდან და სრა-დარბაზისაკენ გაემართა, იახლნენ ტახტოსნები. მეც მანიშნეს, წამოდიო, და უკან დავედევნე. რა შევედი დარბაზში, განვცვიფრდი: დარბაზის შესავალ კარის თავზედ ეხატა ვლაქერნისა ღვთის მშობელი, მის გარემო სფერო მოკირწყლული იყო ოქროვანის ვარსკვლავებით, მაღალი, კამარა ქმნილი, ვარაყით მოხაზული ბანი ბრუტ საბძელისა დარბაზზედ იყო დამხობილი; თვით დარბაზის ჭერი დამყარებული იყო ორს მარმარილოს სვეტზედ, რომელზედაც ხელოვნური ჩუქურთმით იყო ჭრილი სხ. და სხ. საქართველოს ისტორიულნი შემთხვეულებანი, ძველთა მეფეთა დიდ საქმეთა ზედწარწერით. იატაკი დაგებული იყო ფერადის მარმარილოსაგან და დაფენილი იყო ძვირფასის ორხოებით. აღმოსავლეთით და დასავლეთით კლდის კედლებში გამოღებული იყო დიდის ოსტატობით მაღალი სარკმელნი, მრავალ-ფეროვანი მინებით და ზედ ჩამოშვებულნი მძიმე დიბის სრა ფარდებით. ჩრდილოეთის კედელზედ ეკიდა მრავალ-გვარი საომარი იარაღი, ძლეულთა მტერთა ბავრაყებით და დროშებით და მათ შორის მწვანე დროშა ხელიფასი. სამხრეთის კედელზედ ეკიდა სხვა-და-სხვა დასაკრავნი იარაღნი: ბუკი, დაფი, ნაღარა, ჰოროტოტო, ქნარი, ოქროცურვილი ყანწები და სხ. აღმოსავლეთ-სამხრეთის კედლების კუთხეში იყო სახატე, აქეთ-იქით სვეტებით და ზედ დამყარებული მშვენიერი გუმბათით; აქ ესვენა თვალ-მარგალიტით მკული ხატი ხახულის ღვთის მშობლისა, ხატი ოქონისა და მათ შუა გორის ჯვარი. წინ ესვენა: სახარება, ოქროთი შეჭედილი, და ვარაყითა წერილი; გვირგვინი დავით აღმაშენებლისა, ანდერძი, სკიპტრა და სამეფე ბეჭედი. სახატეზედ ჩამოშვებული იყო ოქრო მოჭედილი ფოჩიანი, ოქრო-მიშურა ფარდა. მარჯვნივ ესვენა საქართველოს სამეფო დროშა, მარცხნივ სხვა-და-სხვა სამეფო სამკაულნი კიდობნით. სახატეს აქეთ-იქით იყო პატარა სანათურები. მის წინ იდგა ოქრო-ცურვილი შვიდ-სასანთლე კელაპტრებით.

სამხრეთის კედლის ისწვრივ იყო დიდი დილიჯი [4]), ქჩა-ნოხითა ფენილი. თავსა და ბოლოს სასთუნალებით. სხვა კედლების ისწვრივ გამოკვეთილნი იყვნენ კლდეში დასაჯდომელნი და მათ შორის იდგნენ შაბაქითა კეთებულნი სკამნი. საშუალ დარბაზისა იდგა კარავითა დაბურული დიდი მაგიდა, ირგვლივ სავარძლებით და სკამებით და თავში— ტოგუნი [5]) მეფისა ნატითა და ბალიშითა. კარავის თავსა და ბოლოს ჩამოკიდებული იყო ორი ხომლი კელაპტრებითა. მაგიდა დაფენილი იყო წითელის ყვავილიანის დიბის სუფრითა; ზედ დალაგებული იყო ოქროს ლამბაქები, სინგი, ღვინით სავსე ბროლის ჩარექები, ყანწები, შოთის პურები, მწვანილი ყოველგვარი, სუნნელოვანის ყვავილების კონა და სხვ. სუფრის სამკაულნი.

— „კათალიკოზო, აკურთხე სერი“, ბრძანა თამარმა.

— „სუფრაჯო, უწოდე გოგია დიაკვანსა“, უბრძანა კათალიკოზმა.

— აქ გახლავარ მეთქი [7]), მოვახსენე, და ვიწყე: „მამაო ჩვენო“, „თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ უფალო...... მეუფეო აკურთხე.

კათალიკოზმა ზედგომით ჯვარი გადასწერა და აკურთხა:

— „მეუფეო, მბადო ყოველთა კეთილთაო! შენ აკურთხე საჭმელი და სასმელი ესე მონათა და მხევალთა ამათ შენთა და ჩემ ცოდვილისაცა მონისა შენისა. რამეთუ წმიდა არს სახელი შენი ყოვლადვე, აწ და მარადის“...

აურიგ-ჩაურიგდნენ სუფრასა, მე ბოლოს მოვიღერე ყელი.

— „მაშ დიაკვანი ყოფილხარ?“ მიბრძანა თამარმა.

— დიაღ, ბატონო, შტატ გარეშე დიაკვანი გახლავარ მეთქი, მოვახსენე.

— „რაო? შტატ გარეშეო?“ ეუცა შოთას.

— „ეგ რაჲ სთქუ, გოგია დიაკვანო, შტატ გარეშეო? მიბრძანა კათალიკოზმა.

— დიაღ, მეუფეო, დიაკვანი გახლავარ, დღე ყოველ აღმომკითხველი და მღაღადი წერილთა ჰსჯულისათა ეკკლესიათა შინა და დიაკვნად არა მცნობენ, არ მამტკიცებენ...

„კათალიკოზო, შენ დაამტკიცეო“, უბრძანა თამარმა.

— „მადლი უფლისა იყოს ქრისტესი და ნიჭი სულისა წმიდისა იყავნ

[4]) ტახტი.

[5]) მაღალი დასაჯდომი.

[7]) «სამშობლოს წარმოდგენის დროს გოგია დიაკვნის როლის გამო, თუმცა «ზარის» მთქმელად ვიმყოფებოდი და ჩემს მაგიერ როლი კ. მესხმა შეასრულა.

ში, გზაზედ შელაპარაკებულან, ალ—ს უტაცნია ყელში ხელი და ცხენიდამ გადმოღება ნდომებია, მაგრამ ამ—ს რევოლვერი მოუსწვრია, ორჯელ უსროლნია; ალ—ი დაიჭრა, მაგრამ სიკვდილით-კი არა უშავს-რა.

მეორე შემთხვევა: თავად ფავლენიშვილებს, რომელნიც სოფ. ერედვში სცხოვრებენ, ცხინვალის მახლობლად, დიდი ხანია ერთმანეთში დავიდარაბა ჰქონდათ მამულის თაობაზედ; ერთი შტო ამ გვარეულობისა მეორეს ედავებოდა; ერთმა მათგანმა სასამართლო პალატაში გაიმარჯვა; მეორემ ეს არ შეიწყნარა და მიჰმართა იარაღსა და ძალასა. და აი ერედვის მინდორზედ, სადაც ძველადაც არა ერთხელ დაღვრილა სისხლი, მაგრამ დაღვრილა მტერთან ომის დროს,— გაიმართა ბრძოლა; სასამართლოში გამარჯვებულებს დაეცნენ დამარცხებულნი, მაგრამ აქაც იძლივნენ; გაჩნდა ყურთმაჯთ შრიალი, ცხენთა ტრიალი, თოფთა ტრიალი, ხმალთა პრიალი, სიკისკასით ერთმანეთს არ ჩამორჩნენ, მაგრამ, როგორც ვსთქვით, აქაც დამარცხდნენ: ბრძოლის ველზედ რამდენიმე მძიმედ დაჭრილი დასტოვეს; სხვათა შორის, დაიჭრა მოხუცებული თავადი იოსებ ფავლენიშვილი. დღეს, 25 ენკენისთვეს, გორში სთქვეს, რომ ერთი დაჭრილთაგანი თ. გ. ფ-ი უკვე გარდაიცვალაო. გული ემღვრევა ადამიანს, როდესაც ამისთანა ამბები ესმის, ამისთანა საქმესა ჰხედავს. მოყვარე მოყვარესა ჰკლავს, ძმა ძმას აღარ ინდობს, შვილი მამას სისხლსა სწოვს ერთის ციდა მიწისათვისა, იმდენი ვეღარ წარმოუდგენიათ, რომ ორნაირად იკლავენ თავსა: ერთი რომ თავისს თვისსა და ტომს დღეს უსპობს, მეორე, რომ უნდა ამის გამო მოაკლდეთ სახლ-კარსა იმ ციდა მიწისათვის, რომელისათვისაც სისხლი დაღვარა ძმისა, და წავიდნენ ციმბირში, ან ციმბირში დალპნენ. ერთი რამ არის საკვირველი. როდესაც ამ ციდა მიწას ედავება სულ სხვა ვინმე, ერთი ვილაც გადამთიელი, უყიდის, ართმევს ამ მამულს და სულ მშრალზედ სვამს, მაშინ ხმას არ იღებენ, გულ-ხელ დაკრეფილნი ემორჩილებიან, თუნდაც ჰგრძნობდნენ, რომ უკანონოდ ართმევენ. თუ ძმასთან მოუხდება, მაშინკი სისხლსა ღვრის; როგორც ერთს შემთხვევაში ხარ გულ-გრილი, ისე მეორე შემთხვევაში მოიქეც და! მაგრამ ჩვენს თავად-აზნაურობას ეს არ შეუძლიან და დღეს თუ ხვალ ამ გვარად ერთმანერთს ამოხოცვენ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ბრიუსელიდგან შემდეგს დაწვრილებითს ამბავს იწერებიან ბულანჟეს თავის მოკვლის შესახებ. განსვენებულს გენერალს სიკვდილის რამდენისამე ხნის წინად ნაღვლიანობა, ფიქრიანობა დასჩემებია და მალიმალ ბოროტდებოდა თურმე. ბოლოს ეს სენი იმ ზომამდე გაძლიერებია, რომ მისს მდივანს მკურნალიც-კი მოუწვევია ბულანჟეს გასასინჯად.

როგორც პოლიციის მიერ შედგენილ ოქმიდგან სჩანს, ბულანჟეს თავის მოკვლის დღეს თავის'ს 84 წლის მოხუცებულს დედასა და ძმისწულებთან უსაუზმნია. დილის 11 საათზე უეცრად მოუსურვებია ქალბატონ ბონიმენის საფლავზე წასვლა; დაუბარებია თავისი მეეტლე და უთქვამს, იქსელის სასაფლაოზე წამიყვანეო. როცა სასაფლაოზე მისულა, ეტლი მოშორებით გაუჩერებია და თითონ-კი წასულა ქ-ნ ბონიმენის საფლავის სანახავად. სამჯერ შემოუვლია საფლავისათვის, შემდეგ ამოუღია ჯიბიდგან რევოლვერი და საფეთქელში დაუკრავს. გენერალი მაშინვე წაქცეულა, ისე რომ ერთიც არ დაუკვნესია. რევოლვერის ხმაზე მიცვინულან მეეტლე და სასაფლაოს ყარაული, მაგრამ ვეღარა უშველიათრა: ბულანჟე მკვდარი დაჰხვდერიათ.

ბევრსა სჯერა, რომ ბულანჟეს თავის მოკვლის მიზეზი საცხოვრებლის შემოკლება იყოვო. ორის თთვის წინად შეატყეს თურმე შინაურებმა ბულანჟეს, რომ თავის მოკვლა სწადიანო და ფხიზლად ადევნებდნენ თვალ-ყურსა. თავის მოკვლის წინა დღეს ბულანჟეს თავის მდივნისათვის უთქვამს, აღარაფერს სიკეთეს აღარ მოველი, ყველა იმედი გამიცრუვდაო.

გაზეთი „Stoile Belge“ იუწყება, ბულანჟემ ანდერძი დასტოვა, სადაც სწერია, რომ მთავრობას მამულის მოყვარეობის გამო ვებრძოდი და აჰა, კიდები და ცალი ფულიც არა მრჩება ჯიბეშიო. მართლაც, ბულანჟე ამ ბოლოს დროს მხოლოდ იმ ფულითა სცხოვრობდა, რასაც თავისი განქორწინებული ცოლი აძლევდა. თავისი ანდერძი ბულანჟემ თავის მოკვლის რამდენისამე დღის წინად ნოტრიუსს ლეკოკს გადასცა. ამ ანდერძს დამარხვის შემდეგ მესამე დღეს გამოაქვეყნებენ. პარიჟსა და ბრიუსელის კაბინეტთა შორის გაცხარებული მიწერ-მოწერაა; საფრანგეთის მთავრობა თხოულობს ბულანჟეს ზოგიერთს ქაღალდს, პოლიტიკის შესახებს. ყველაზედ უწინ ბულანჟეს მოხუცებულს დედასთან მივიდა და სამძიმარი უთხრა პრინცმა ვიქტორ-ნაპოლეონმა. ბულანჟეს პატარა სასტუმრო ეჭირა მონტოვეს ქუჩაზე. სიკვდილს შემდეგ გენერალს ჯიბეში ფოტოგრაფიული სურათი უპოვნეს ქ-ნ ბონიმენისა და თან პატარა ბარათიც, რომელშიაც ეწერა, მინდა, რომ ამ ქალის გვერდით დავიმარხოვო.

პარიჟში ბულანჟეს მომხრეებმა მწუხარება განაცხადეს და ერთხმად გადასწყვიტეს დელეგატების გაგზავნა იმისს დასაფლავებაზე დასასწრებად. ბულანჟეს მომხრეთა დეპუტატმა კასტოლენმა სთქვა, გენერლის სიკვდილის შემდეგ მისი დასი დაიყოფა და მომეტებული ნაწილი კვლავ უმწვერვალეს მემარცხენეთა დასს შეუერთდებაო. ნაკე, დერულედი და ტიბო პარიჟში არ იყვნენ, როცა ბულანჟეს სიკვდილის ამბავი მივიდა იქა. გაზეთი „Presse“ და „Rep. Fr.“ ამბობენ, ბულანჟესი და ბაზენის სიკვდილი დააშინებს საფრანგეთის ჯარის კაცთაო. ყველა გაზეთი ჰკიცხავს საპოლიტიკო მოქმედებას ბულანჟესას, რომელიც, გაზეთებისავე სიტყვით, ეს მეორედ მოკვდა, რადგან პირველი მისი სიკვდილი საფრანგეთიდგან გაქცევა იყოვო. ზოგი გაზეთი იმასაც ამბობს, ბულანჟემა და ბალმასედამ (ჩილის პრეზიდენტმა) ერთ გვარად მოიკლეს თავებიო; მხოლოდ ერთი როშფორი-ღა უწევს მფარველობას თავის მკვლელს ბულანჟესა:

„სციპიონისგან ძლეულმა ჰანნიბალმა თავი მოიკლა, გერმანელმა ებრაელებმა და ქურდებმა გაათავეს ბულანჟე; მტრები მექრთამეობას, ვერცხლის მოყვარეობას აბრალებენ, მაგრამ ამ მექრთამეობა-ვერცხლის მოყვარეობამ მხოლოდ ის შეძლება-და შეარჩინა, რომ რევოლვერი ეყიდნა თავის მოსაკლავად. ამ კაცს თავისი სახელი დარჩება და ისტორიაში ჩაიწერებაო.“

„Figaro“ სწერს:

„ბულანჟეს თავის მოკვლის მიზეზი სიყვარული და მომავლისა გამო სა'ოწარკვეთილება იყო. ვინ იცის, იქნება ბალმასედასათვისაც უნდა წაებაძნა. ბულანჟეს რომანულის სიკვდილის ამბავიც იმ ლამაზ გენერლის ამბავს დაერთვის და დაემატება, რომელიც მოხდენილ'ს ცხენითა და მგალობელთა თანხლებით ომში მიდიოდა, რომ ელზას-ლოტარინგია დაებრუნებინა საფრანგეთისთვის. თავი და თავი ნაკლი ბულანჟესი გაუბედაობა და მოუხერხებლობა იყოვო.“

მრავალი პარიჟელი დაამშვიდა ბულანჟეს სიკვდილმა. ბევრნი იმასაც ამბობენ, თავის მოკვლის მეტი გზა აღარა ჰქონდა-რა დარჩენილი ბულანჟესაო. ამბობენ, ბულანჟეს 84 წლის მოხუცებული დედა ამ ბოლოს დროს ცოტა შე'უსტდა ჭკუითა და, რომ გული არ გაეხეთქათ, ატყუებდნენ, შენი შვილი ისევ მინისტრია და ბრიუსელში რაღაც საპოლიტიკო საქმისათვის არის მისულიო. სასაფლაოზე წასვლის წინად ბულანჟე გამოეთხოვა დედასა და უთხრა, რამდენისამე დღით მივდივარ სხვაგანაო. ვერსალში მყოფმა ბულანჟეს ცოლმა და ქალმა გენერლის სიკვდილის ამბავი მეგაზეთეების პირით შეიტყეს. გაზეთი „Intrasigeant“-ი შავ არშია შემოვლებული დაიბეჭდა.

---

შენ-შორის და დაგამტკიცნეს გზასა ზედა სიმართლისასა!“ ორის ხელით ჯვარი გადამწერა კათალიკოზმა და დამამტკიცა.

— „მხიარულ იქმენ სულითა, გოგია დიაკვანო! დღეს მადლი ზე გარდმოვიდა შენზედა“, მიბრძანა თამარმა.

ამის პასუხად მე მოწიწებით ვიგალობე „დღეს საღმრთომან მადლმან შეგვკრიბნა ჩვენ“... „ზეცად მიმართ აღვიხილავ თვალთა გულსა ჩემისათა“... ვიგალობე იამბიკოცა:

„თამარის ბროლსა ნათელსა აყაყი შუა რეოდა,
„ლალსა ნათალსა, ნაწებსა, ბაგე შვენებით რეოდა,
„მისნი სიტურფე კეკლუცნი, მნათობთა გარდარეოდა;
„ვარდი, ზამბახი წალკოტსა მის მიერ მისარეოდა“...

— „ამინ“, ბრძანა კათალიკოზმა.

რა დავასრულე იამბიკო, შოთამ აღლევრძელა თამარი და ღვინით სავსე ყანწი გადაცალა. მე მრავალ ჟამიერ დავიძახე; დამძახეს, მიბანეს და დიდად მოეწონათ. გაგრძელდა სუფრა; შეიქმნა სმა-ჭამა-პურობა ქართველური, ძველებური.

— „შოთავ, იწყონ ლრეობა დიდებულთა“, უბრძანა თამარმა.

ტარიელმა დაიძახა „ჩონგურო“; ავთანდილმა დასძახა, მე და დანარჩენთ ბანი ვუთხარით. შოთამ დაიწყო „ზამთარო“, მე დავძახე და ტარიელავთანდილმა ბანი გვითხრეს.

შემდეგ ვიმღერე ყურშაო:

„ვინცა კაცია,
ჩოხა ჯაჭვია;
ქუდი ნაბდისა
ჩაბალახია“...

ვიმღერე „ღმერთო, ღმერთო“, „ხეურო“, „ჰარალალი“ და სხ.

ძალიან მოეწონათ. მერე სძლის პირები მოვაყოლე და გაკვირდნენ, ვისგან უსწავლიაო.

შემდეგ კათალიკოზმა ზე დგომით მიირთვა შესანდობარი საქართველოს მეფეთა და დედოფალთა. მე „წიდათა თანა განუსვენე“ ვიგალობე. თამარმა მიირთვა შესანდობარი საქართველოს კათალიკოზთა და მღვდელთ-მთავართა. მე ვიგალობე „მოკვეთილი ჰკვეთს მეწამლუსა“... ესრეთ გაგრძელდა სუფრა.

— „შოთავ, მე მასმიეს, ვითარმედ მიმოგიხილავს სადმე ტფილისი, ვითარ განეგების მუნებურ“? უბრძანა თამარმა.

— დიაღ, ბატონო! ჩემს „ვეფხისტყაოსანს“ შემოხვევიან ახალნი ნაწუჩანნი [8]) და ძველზედ უაღრესად ბღალვიან; მერე სახე ჩემი დაუხატიათ და, გარყვნილ უწინარესთაგან—უაღრესად გაურყვნიათ...

— „მერე ვითარ შეიტკბეთ ცვალებულ იგი ივერია“? ბრძანა კვლავ თამარმა.

— ბატონო, მე ენა მომაჭრეს, ხმა არ ამომაღებინეს, ერი შეძრწუნდებაო; სიტყვა დაუშრობელი უტყვად მქმნეს, მოახსენა შოთამ გულ ამოჯდომით.

— პორფირი და ოქრო ქსოვილი გამძარცვეს და ძოწეულ არა ჰეშმარიტი შემმოსეს, მოახსენა ნესტანდარეჯანმა.

— ტაიჭი ჩემ მიერ ყვარებული და მარგალიტითა მკული აბჯარ-უნაგირი მიმიღეს და მომართვეს ტაიჭი რაჲმე უცხოეთური, [9]) მოახსენა ტარიელმა.

— ხოლო მე არა მაუფლეს უსტარისა მიწერად... მოახსენა ავთანდილმა.

— ხოლო ჩვენ არა გვაუფლეს დაკვრად დაფთა და ბუკთა საქორწინეთა, მოახსენეს მეჩანგე-მგოსანთა.

— მე ძაძა შავი შემმოსეს, [10]) მეფეო, სამხიარულოსა მაგიერ, ეგეც ბევრიაო, იჩივლა ასმათმა.

— მე წაღმა დავითნის კითხვა არ მაუფლეს და უკუღმა მაკითხებენ მეთქი, მოვახსენე მეც. ამ სიტყვების შემდეგ კათალიკოზმა თავი ვეღარ შეიმაგრა და გაცეცხლებული წამოდგა.

— „დედოფალო! ყურთა ჩემთა ასმიეს, ვითარმედ საქმეთა საეშმაკოთა მოუცავს დიდებული სამეფო იგი შენი: ეკკლესიათა შინა დადუმებულ არიან ზაგენი მეფსალმუნეთანი, კარი შეგინებულ არს, ბერ-მონაზონნი ემსგავსნენ ბუთა ნატამალთა ზედა; შებღალულ არიან სჯულნი და წესნი ქრისტეანებრივნი! მასმიეს, ვითარმედ არღა ერჩიან გულის ხმის ყოფასა, არამედ ერჩიან შთაგონებათა საეშმაკოთა; მასმიეს, ვითარმედ იწვართიან ბოროტებასა, ხოლო კეთილობა დატევებულ არს. მასმიეს სიმრავლე სხვათაცა, ესე ვითართა, უჯეროებათა და შეძრწუნებულ არს სული ჩემი! იყავნ კრულ და შეჩვენებულ ყოველნი მძლავრნი გულითა ძ ამპარტავანნი! იყავნ წყეულ და ეშმაკსა მიერ შეპყრობილ მბადი უჯეროებათა! დათან და აბირონის თანა ექმნას კერძი მბადსა და მსაზრდოებელსა ესე ვითართა ბოროტებათასა! იყავნ კრულ ამიერ უკუნისამდე მქონებელი გულსა შინა თვისსა ძვირისა ივერთათვის!.. გარნა, მმადლობელთა ღვთისათა ამის ყოვლისათვის, ესრეთ წარვსთქვათ, ბანი დიდებულნო, ბანი, გოგია დიაკვანო:

„სარწმუნოება სიყვარულსა შობს, ხოლო
„სიყვარულივე სასოებასა ღირსად;
„სარწმუნოება შესცავს გონებისათა,
„ხოლო მოიღ'ბს სიყვარული მტერთაგან
„სიყვარულსავე, რადგან არ ნაცვლის მგებლობს,“... [11])

იგალობა კათალიკოსმა აღელვებით და დაბრძანდა.

— შოთა, წარსთქვი შენცა რაჲმე, უბრძანა თამარმა.

შოთამ დაიწყო ზედგომით:

„ერო რჩეულო და წამებულო,
„განიფრთხე ძილი, ზე აღემართე!
„გაქვნდინ ზე თვალი, ქედ-დაკიდულო,
„ნინას ლამპარი წინ წარიმართე!
„შენნი შენთაგან, შენთაგან შენნი—
„გრწმენეს, ადიდენ ღვთად, კაცად სრულად.“...

— წარსთქვით თქვენცა, მანდილოსანო, უბრძანა თამარმა.

მანდილოსანთა დაიწყეს მშვენიერის ხმით:

„ძველო ივერო!
„ღვთისა ამარი
„შენი თამარი
„შენა ვედრებად
„ღვთისად მზად არი...“.

დიდებული ხმები ესმა ყურთა ჩემთა: ხმა კათალიკოზისა, ვითარცა ხმა ქუხილისა ღრუბლით მხმობი, ხმა შოთასი, ვითარცა, ხმა ბრწყინვალესა დღესა ცით მეტყველი; ხმა მანდილოსანთა, ვითარცა ხმა მოდასეთა ანგელოსთა...

ამას შემდეგ დაჰკრეს ბუკთა და დაფთა. ჩამოუარა შოთამ ლეკური და გადუთავაზა ტარიელს; ტარიელმა გააკეთა ლაზათიანი ცეკვა და ნესტან დარეჯანი ათამაშა. ავთანდილმა თინათინი გაიწვია. ითამაშეს, მარამ სადღა იყო ან პაიჭაძე, ან ყარალაშვილი [12]) სადღა იყვნენ, სულ დამავიწყდნენ. ბოლოს, სად იყო, სად არა, გამოვიდა ასმათი და მე დამიკრა თავი. მე გაშტერებული ვიდეგ.

— „გოგია დ კვანო, შენც იცეკვეო“, მიბრძან თამარმა.

— ბატონო, ნუ მირისხდები, შენი ჭირიმე მეთქი, მოვახსენე უარი.

— „უარი შეუძლებელ არსო, დამარწმუნა შოთამ.

გამიწყრა ღმერთი და მეც ავყე ასმათსა, ჩამოუარე მძიმე ბასტა. იატაკზედ ფეხი მომისხლტა და დავეცი ძირს. ამაზედ შევკივლე და თვალი ღია დამრჩა. ვნახოთ, პერანგა ძირსა ვგდივარ წყლის გუბეში მორეული: თურმე ნუ ბრძანებთ, მძინარე ტახტიდან გადმოვვარდნილვარ, წყლის ლიტრისთვის დამიკრავს გვერდები, ლიტრა წაქცეულა და წყალი წამომდგომია. აჰა, მკითხველო, კვლავ ნამდვილი სურათი ჩვენის სიცოცხლის ამაოებისა და დაუდგომელობისა!... ლამის „მომკლას მესოფლისა სამსალამა!“...

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა;
„გარდახდეს, განვლეს სოფელი, ნახეთ სიმუხლე ჟამისა!“..

ვ. ცხვილოელი

1882 წ. თებერვალი.

---

8) „ვეფხვის ტყაოსნის“ შესასწორებლად რედაქცია იკრიბებოდა სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში 1882 წ. და ძველ ხელნაწერებით ამოწმებდა.

9) „ცხოველ სურათებზედ“ ტარიელის შავი ცხენი გოდფრუას ცირკიდან იყო ნაქირავები.

10) ასმათს შავები ეცვა „ცხოველ სურათებზედ“.

11) იოანე პეტრიწისა „კლემაქსიდან“ იამბიკო.

12) იმ ხანებში ესენი თამაშობდნენ ლეკურს სცენაზედ.

## წვრილი ამბავი

ერთს ამერიკელს ქალს ახალი კაბა შეუკერია; კაბაზედ 1,800 ნაირ-ნაირი ღილია დაკერებული და იმის შეკერვას 20 დღე მოუნდა თურმე. კაბის წონა სწორედ 40 გირვანქაა, თუმცა სამეჯლისოდ არის შეკერილი. მართლა ღონიერი უნდა იყოს ამ კაბის პატრონი ქალი!

— ნიუ-იორკის ჟურნალის „The sunny hour“-ის 14 წლის გამომცემელს, ტედლო დ'აპერის, თანამშრომლადა ჰყავს მეფეები, პრინცები და ბევრი გამოჩენილი კაცი. კარმენ სილვამ ამ ჟურნალს ორი ლექსი გაუგზავნა, ოსმანფაშამ ერთი წერილი, და კიდევ ბევრმა გამოჩენილმა კაცმა თავიანთი ხელ-მოწერილი სურათები გაუგზავნეს. შარშან ზამთარს პატარა დ'აპერი ძლიერ ბევრსა ჰშრომობდა. ეხლა-კი ექიმებს ამისთვის სრულებით აუკრძალავთ შრომა.

— მადრიდში ამ დღეებში ერთი 103 წლის დედაკაცი გარდაიცვალა. ამ დედაკაცის მამა 110 წლისა მომკვდარა, პაპა—110 წლისა, ერთს იმის ბებიას 105 წელი უცოცხლია და მეორეს, დედის მხრივ, 102 წელი. ამ დედაკაცს სიკვდილამდე მშვენიერი მესხიერება ჰქონია და თავის დღეში ავად არ გამხდარა.

— ამას წინად კანზასში (ამერიკაშია) მოქალაქეებს წინაღამ დაუხოციათ თავიანთი ქდილები (სამოქალაქო შენობათ გამგენი). ქდილებს გადუწყვეტიათ ერთი შენობა ეყიდნათ ქალაქისთვის, ელექტრონის გასამართავად. მოქალაქეებმა გამოიანგარიშეს თურმე, რომ ეს ფასი ძლიერ მეტია და ქდილებმა თავიანთი სარგებლობის გულისთვის დაათვასეს ასე მეტად ეს შენობაო. დანიშნეს კრება. კრებაზედ ხალხი საშინლად აღელდა და შემდეგ ქალაქის სამმართველოსკენ გასწია, სადაც იმ დროს ქდილები იმყოფებოდნენ. განრისხებული ხალხი ჰყვიროდა „დავარჩოთ“, „დავხვრიტოთ“ ქდილებიო. ქდილები დაიმალნენ და ამ გვარად გადარჩნენ თურმე სიკვდილს.

— საშინელი მორცხვი ყოფილა საფრანგეთის ერთი პატარა დაბის კარფელის მერი. ძლიერ ეჯავრება თურმე ამ მერს გულ-ღია კაბები და ამიტომ აი რა ბრძანება გამოუცია: „რადგანაც ქალის ღია გულმკერდის დანახვა უწესოებისა და გარყვნილობის მიზეზად მიმაჩნია, ამიტომ ამიერიდგან ამიკრძალავს გულ-ღია კაბების ჩაცმა მეჯლისებში, როგორც წესიერობის და მშვიდობიანობის დამრღვევიო“.

— ამ ჟამად მთელს ქვეყანაზე უღონიერესი კაცი ყოფილა სოპტმანია ფილადელფიაში. სოპტმანი 3,300 გირვანქას ე. ი. $82^1/_2$ ფუთის სიმძიმეს იკიდებს მხრებზედ და ისე უვლის დიდს მოედანს. სოპტმანი 6 ფუტისა და $4^1/_2$ დიუმის სიმაღლისაა და 6 ფუთი და 33 გირვანქა სიმძიმისაა. მანამ ყოველი გამოჩნდებოდა, ყველაზედ ღონიერ კაცად მთელ ქვეყანაში ერთი ქალი იყო, გვარად გობერტი. გობერტი წარმოდგენებს ჰმართავდა ლონდონში. წარმოდგენის დროს გობერტს კბილებით სტოლი ეჭირა ხოლმე, რომელზედაც რამდენიმე კაცი იჯდა. მერე გულზე გრდემლს ადებდა, რომელზედაც მჭედელი იქვე ნალებსა სჭედავდა. შემდეგ ამ გრდემლს [illegible] წონს. 1741 წელს [illegible] სამი ბოჭკას სწევდა, სიმძიმით 46 ფუთს. ბოჭკოლეს კბილებით 200 გირვანქიანი ზარბაზანი ეჭირა ხოლმე იმ დროს, როცა ამ ზარბაზანს ისროდნენ.

— ათინაში შემდეგი ამბავი მომხდარა. ერთს ზანგს სასტიკად არგირისს, რომელიც მესაყვირედ მსახურებდა თურმე გემზედ, ამ ბოლოს დროს გათეთრება მოუსურვებია და ამ სურვილს ისე გაუტაცნია, რომ ჭკუაზედაც შეშლილა. ეხლა ეს ზანგი საავადმყოფოშია თურმე და ვინც შეხვდება, სულ იმას ეუბნება: „აი, შემომხედეთ, როგორ გავთეთრდიო“. მკურნალების აზრით ანგირისი ამხანაგების დაცინვას შეუშლია ჭკუაზე.

## გასართობი

ცოლმა „ცოცხალს სურათებში“ მიიღო მონაწილეობა. წარმოდგენის დასასრულს ქმარს ეკითხება:

— რას იტყვი, როგორი ვიყავ?

— გაოცებული და გაშტერებული ვარო, უპასუხა ქმარმა: თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ მაგდენს ხანს ხმა-ამოუღებლად დგომა შეგეძლებოდა.

**

სასამართლოში.

— ბრალდებულო, მაშ რად მოიპარე ეს ძველი წაღები?

— მაგას რაღა კითხვა უნდა, ბ-ნო მოსამართლევ, იმიტომ-რომ ახლები მეგონა.

**

ზრდილობის მასწავლებელი.

გლეხ-კაცმა თავისი შვილი ქალაქში საჭმელების დუქანში შეიყვანა და ორაგული მოატანინა. ყმაწვილმა მაშინვე ხელები ჩაითითხნა შიგ და ისე დაიწყო ჭამა, დანაჩანგალს არც-კი მიჰკარებია. გამწყრალმა მამამ შესძახა:

— ფუ, რა გოჭის თავი ხარ! ორაგული განა ხელით იჭმევა?! ისპანახი ხომ არ არის!

**

გაფრთხილდი, უცოლო კაცო!

მრავალ-უმრავლესის გასათხოვარ ქალების პატრონი დედა უცოლო ყმაწვილს კაცს ეკითხება:

— ჩემ ქალებ შორის ყველაზედ უფრო რომელი მოგწონთ?

— გათხოვილი მომწონსო, უპასუხებს ყმაწვილი კაცი.

**

ოჰ, ეს ქმრები!..

ერთმა ახალგაზდა ქალმა ბერლინიდგან თავისს, პეშტში მყოფს, ქმარს დეპეშით მისწერა:

— ძვირფასო ჰანრი, ჩვენ ყველანი კარგად და ჯან-საღად ვართ, წერილი ჩქარა მოიწერე და შენს მარიკოს არამც და არამც არ უღილატო.

მეორე დღეს შემდეგი პასუხი მიუვიდა:

— სამწუხაროდ, შენმა დეპეშამ ძალიან დაიგვიანა. ჰანრი.

**

ზღვაზედ ხომალდის დაღუპვით დაზარალებულთათვის შესაწირავსა ჰკრებენ. ერთი ყმაწვილი ქალი ჩასციებია ვიღაც შეძლებულს კაცს, თქვენც შესწირეთ რამეო. ის უარზეა, თავს ჰმართლულობს, რომ ჩემი წილი მე უკვე ვუწილადეო. დასასრულს, როგორც იყო ამოიღო თურმე ერთი ოქრო და კილოგაბმით სთქვა:

— ეს ოქრო მიიღეთ, ჩემო ქალბატონო, მაგრამ იცოდეთ-კი, რომ თქვენის ლამაზის თვალების გულისათვის ვწირავ.

ყმაწვილი ქალი წამოწითლდა და დარცხვენით უპასუხა:

— მე ორი თვალი მაქვს, მოწყალეო ხელმწიფევ...

და შერცხვენილმა შეძლებულმა კაცმა მეორე ოქროს ამოღებაც იკისრა ჯიბიდგან.

## დეპეშა

27 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრის განკარგულება: კოპტონიც (ზეთის ნახადი) ქტოს მსგავსი და ნაირი საგანია და საზღვარ-გარედ არ გაიტანება.

ხმა დადის, რომ ჩქარა დაიწყებენ განხილვას ახალ რკინის გზებისა და სხვა საზოგადო სამუშაოთა პროექტებისას, რათა ამ შემოდგომაზედვე მიჰყონ ხელი მუშაობას და მოუსავლობით დაზარალებულთათვის სამუშაო რამ გამოსძებნონ.

**ვალპარაისო.** არგენტინის მთავრობამ მიჰყიდა ბარონს გირშს 1,500 ოთხკუთხი ვერსი შაკის პროვინციაში ერთ მილიონ პეზოსად. ეს ადგილები ებრაელთა ახალ-შენისათვის უნდა ბარონს გირშს.

**ამოი.** ჩინეთის დაბაში, ამოიდგან 40 მილის მოშორებით, ამბოხება ასტყდა. ჩინეთის მდაბიო ხალხი დიდად აღშფოთდა იმის გამო, რომ საზოგადო ფულს იპარავდნენ, მარილის საწყობებს დაეცნენ, რამდენიმე მანდარინი და დიდ-ძალი უბრალო მოხელე მოჰკლეს. ეს ამბოხება ამოიდგან მისულმა ჯარმა დააწყნარა.

პეტერბურგის ბირჟა, 27 სექტემბერი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 58 | 7, 60 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $151^1/_4$ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | $220^1/_2$ | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 209 | — ,, | $211^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმად მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა [illegible]

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთიდამ [illegible] გემები.

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—94—23)

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

### სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—21) ქარხანის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

### დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია.

(36—86—27)

თამბაქოს ფაბრიკა

### ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

ვთხოვ ყურადღება მიაქციოს პატივცემულმა საზოგადოებამ ეს არის ეხლა მიღებულ ახალის სისტემის ამერიკულ მაშინებზედ საუკეთესო ფრანგულს ქაღალდზედ გაკეთებულს

გილზებს უწებოდ.

პაპიროსის მხმარებელთ შეუძლიანთ ყოველთვის იქონიონ ასეთის გილზით გაკეთებული პაპიროსი სხვა-და-სხვა ფასისა, რომელიც უკვე დიდ-ძალია მომზადებული გასასყიდად.

ეს არის ეხლა მივიღეთ საუკეთესო ღირსების ახალი

ოსმალეთისა და ადგილობრივი თამბაქო

სხვა ქალაქებიდგან შემონაკვეთს საჩქაროდ ვასრულებთ.

(10—117—5)

### სადგური „ტფილისი-ქალაქი“

### კავკასიის რკინის გზისა

ბაღის ქუჩა, ველიამინის ქუჩის პირდაპირ, სახლი 34

ამით აუწყებს ბ-ნ საქონლის მიმღებთა და გამგზავნთ, რომ კავკავის გზა, რომლით მიმოსვლა შეჩერებული იყო, ეხლა გაიხსნა და **სადგური ხელ-ახლა იღებს** ყოველ გვარ საქონელს გასაგზავნად პირდაპირ კავკავზედ და აქედამ რუსეთის ყველა რკინის გზების სადგურამდე იმ წესითა და პირობით, როგორადაც წინად იღებდა.

საქონლის გაგზავნის სადგური იმნაირადვე ჰკისრულობს, როგორც რკინის გზების ყველა სადგური, ე. ი. მიიღებს გასაგზავნ საქონელს და [illegible] და სხვა; ამისათვის არავითარი გადასახადი არ გადახდებათ და თუ საქონელი გაგზავნა ან დანიშნულ ადგილას არ მივიდა, სადგური სრულ ფასს უზღავს პატრონს.

(3—121—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 26-го Сентября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.